31 DECEMBRIE
RUGĂCIUNEA
SF.CUVIOS-MUCENIC
ZOTIC DE LA CONSTANTINOPOL

სავედრებელი ლოცვა

ჰოი. ყოვლად ტკბილო და მოწყალეო ზოტიკე ხუცესო, მოწამებრივითა სისხლითა განშუენებულოდა მოყუასისათვის სისხლდათხეულო; მამათა სამკაულო, მღდელთა გვირგვინო და ანგელოზთამოდასეო, სნეულთა მკურნალო და ჭირთა შინა ურცხვენელო ხელის აღმპყრობელო, ღმრთისა მიმართმეოხო და ყოველთა უპოვართა, განწირულთა და შენდამი მოლტოლვილთა შესავედრებელო, ზღუდეოდა საფარველო!

ჰოი, საკვირველო და ჭეშმარიტად ახოვანო ხუცესო ზოტიკე ობოლთ-მზრდელო, რომელმანცხორებაი შენი განამტკიცენ კეთილმსახურებითა და ღმრთივბრწყინვალედ შეამკევ წამებისასისხლითა, აწ ყურად-იღე ლოცვანი ჩუენნი და მარტვილებრივითა კადნიერებითა გვითხოვე უფლისაგან,რაითა ერი ჩუენი დაიცვას საფრხისაგან მტერისა და დაიფაროს წვალებათაგან და სჯულისაგანუცხოისა, ხოლო ჩუენ მოგუმადლოს შენებრი მხურვალებაი სარწმუნოებისაი, ძმებრივი სიყუარულიმოყუასისაი და საღმრთოი მოშურნეობაი მამულისაი, მრავალშემძლებელითა ძალითა შენითა განაძლიერემსახურებასა შინა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მამაიჩუენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველნისამღდელონი და სამონოზნო წესნი, მხედართმთავარნი და ქალაქმთავარნი,

ქრისტეისმოყუარემხედრობანი, და კეთილისმყოფელნი ჩუენნი, და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი.

ჰოი, ღუაწლისა-მძლეო წმიდაო მღდელმოწამეო ზოტიკე, ჟამსა ქუეყნიერისა ცხორებისასასიყმილისაგან იფარავდი ქურივ-ობოლთა და გლახაკთა, და სიკუდილისაგან დაიხსნიდი რაი კეთროვანთა,მრავალნი ცოდვილნი მოიყვანენ სინანულად, და მწუალებელნი - ჭეშმარიტებად, ხოლო შემდგომადსიკუდილისა ზეცათა შინა იშუებ სასუფეველსა და მარადის განიცდი სიკეთესა, გამოუთქმელსაქრისტეისსა, აწცა მეოხ გუეყავ წინაშე მისსა, რაითა მოჰმადლოს ეკლესიათა დიდებაი, სამღდელოთაპატიოსნებაი, მთავართა კეთილად მწყსაი ერისაი, მხედართა მამაცობაი, ერისაგანთა უცოდველობაიდა დედათა კრძალულებაი, ხოლო ჩუენ აღგვიდგინოს ღმრთისმოსაობაი, სიმართლისმოყუარებაი,მრავალშვილიანობაი, და ქურივ-ობოლთა შეწყალებაი. მოგვანიჭოს სიწმიდით ცხოვრებისა სიყუარული,უჯეროთა საქმეთა სიძულვილი და გულისა შემუსრვილებაი, წმიდათა თანა გვირგვინოსნებაიდა ცათა სასუფეველისა დამკვიდრებაი, რაითა ჩუენცა შენ თანა ვადიდებდეთ მამასა და ძესადა წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!